# სადამფუძნებლო შეთანხმება

(შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სარეგისტრაციო მონაცემები/სარეგისტრაციო განაცხადი)

სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საფირმო სახელწოდება: შპს "**გოგორა**"
უნდა განისაზღვროს ქართულ ენაზე. „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით გათვლისწინებული წესით
საფირმო სახელწოდება ინგლისურ ენაზე: " Gogora" LLC
უნდა შეესაბამებოდეს ქართულ ენაზე განსაზღვრულ სახელწოდებას

იურიდიული მისამართი: საქართველო, აჭარა, ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. გუნდაური ქ. #1.

საზოგადოების ფიზიკური (ფაქტობრივი) მისამართი: თბილისი, წერეთლის 140.

კაპიტალი (იმ შემთხვევაში თუ განსაზღვრულია)

ნებადართული კაპიტალი შეადგენს..... ლარს
კაპიტალის მაქსიმალური ოდენობა, რომლის ფარგლებშიც შპს-ს შეუძლია მომავალში მიიღოს წილების განთავსების გადაწყვეტილება

განთავსებული კაპიტალი შეადგენს..... ..... ლარს
განთავსებული კაპიტალი არის სამეწარმეო საზოგადოების მიერ განსაზღვრული ფულადი ოდენობა, რომელიც უნდა იყოს საზოგადოების განთავსებული წილების ნომინალური ღირებულებათა ჯამის ტოლი, რომლის განაღდება (შევსება) საზოგადოების რეგისტრაციის მომენტისთვის არ არის სავალდებულო

არსებობის შემთხვევაში წილთა კლასები

…….კლასი
(კლასის დასახელება)
…….კლასი
(კლასის დასახელება)

- განთავსებული წილების რაოდენობა შეადგენს..... ერთეულს

წილების ჯამური რაოდენობა, რომელიც გასცა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ საზღაურის სანაცვლოდ, მიუხედავად იმისა, მიღებული აქვს თუ არა ამ სამეწარმეო საზოგადოებას საზღაური. წილის კლასების არსებობის შემთხვევაში აღნიშნული ინფორმაცია უნდა მიეთითოს როგორც ჯამურად (ყველა კლასის წილთა ჯამი), ასევე ინდივიდუალურად თითოეული კლასის წილთა რაოდენობა, გამოხატული უნდა იყოს მთელი რიცხვით

წილთა კლასების არსებობის შემთხვეკაში განთავსებული წილების რაოდენობა
…….კლასის განთავსებული წილების რაოდენობა შეადგენს..... ერთეულს
(კლასის დასახელება)

კლასის განთავსებული წილების რაოდენობა შეადგენს..... ერთეულს
(კლასის დასახელება)

არსებობის შემთხვევაში განთავსებული წილების ნომინალური ღირებულება წილის ნომინალური ღირებულება უნდა განისაზღროს ერთეული წილის მიმართ და უნდა იყოს გამოხატული ფულად ერთეულში.
წილების ნომინალური ღირებულება უნდა განისაზღვროს თითოეული კლასის წილთან მიმართებით, თუ განსხვავებული კლასის წილები არსებობს

ერთი წილის ნომინალური ღირებულება(კლასის არ მქონე წილისთვის) შეადგენს…. ლარს
წილთა კლასების არსებობის შემთხვევაში განთავსებული წილების ნომინალური ღირებულება

……კლასის ერთი წილის ნომინალური ღირებულება შეადგენს ..... ლარს
(კლასის დასახელება)

……კლასის ერთი წილის ნომინალური ღირებულება შეადგენს ……..ლარს
(კლასის დასახელება)

- პარტნიორები და პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობა განთავსებულ კაპიტალში

| N | **ფიზიკური** პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, იურიდიული პირის შემთხვევაში საფირმო სახელწოდება საიდენტიფიკაციო კოდი იურიდიული მისამართი (შემდეგში: საიდენტიფიკაციო **მონაცემები**) | **წილის ოდენობა*** უნდა მიეთითოს მთელი რიცხვი (ერთეულები) | **პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობა განთავსებულ კაპიტალში*** უნდა მიეთითოს პროცენტი |
|---|---|---|---|
| 1 | ნინო რაზმაძე (დაბ. თარიღი 01.08.1986, პირადი No01021015510, მცხ. თბილისი, ლადო ასათიანის 58). | 90 | 90 % |
| 2 | მურმან თურმანიძე (დაბ. თარიღი 27.05.1985, პირადი No61008007710, მცხ. აჭარა, ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. გუნდაური მე-5, No1). | 10 | 10 % |

ნებადართული წილების რაოდენობა არის ..... ერთეული (არსებობის შემთხვევაში)

ნებადართული წილი არის წილთა მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც პარტნიორთა გადაწყვეტილების შესაბამისად შესაძლოა მომავალში იქნეს გამოშვებული და განთავსებული. აღნიშნული ინფორმაცია უნდა მიეთითოს თითოეული კლასის წილთან მიმართებით, აუ განსხვავებული კლასის წილები არსებობს. ნებადართული წილის რაოდენობა გამოხატული უნდა იყოს მთელი რიცხვით

წილთა კლასების არსებობის შემთხვევაში ნებადართული წილების რაოდენობა

…….კლასის ნებადართული წილების რაოდენობა არის..... ერთეული (კლასის დასახელება)

…….კლასის ნებადართული წილების რაოდენობა არის..... ერთეული (კლასის დასახელება)

არსებობის შემთხვევაში ნებადართულ წილთა კლასები

…….კლასი

(კლასის დასახელება)

…….კლასი

(კლასის დასახელება)

ნებადართული წილების ნომინალური ღირებულება არსებობის შემთხვევაში

წილის ნომინალური ღირებულება უნდა განისაზღროს ერთეული წილის მიმართ და გამოხატული უნდა იყოს ერთეულში.აღნიშნული იწფორმაცია უნდა მიეთითოს თითოეული კლასის წილთან მიმართებით, თუ განსხვავებული კლასის წილები არსებობს

ერთი წილის ნომინალური ღირებულება (კლასის არ მქონე წილისთვის) არის ..... ლარი

წილთა კლასების არსებობის შემთხვევაში

კლასის ერთი წილის ნომინალური ღირებულება არის .... ლარი

(კლასის დასახელება)

კლასის ერთი წილის ნომინალური ღირებულება არის ..... ლარი

(კლასის დასახელება)

გამოშვებული წილების რაოდენობა არის ..... ერთეული (არსებობის შემთხვევაში)

გამოსატული უნდა იყოს მთელი რიცხვით. აღნიშნული ინფორმაცია უნდა მიეთითოს თითოეული კლასის წილთან მიმართებით, თუ განსხვავებული კლასის წილები არსებობს

წილთა კლასების არსებობის შემთხვევაში

კლასის გამოშვებული წილების რაოდენობა არის ..... ერთეული

(კლასის დასახელება)

კლასის გამოშვებული წილების რაოდენობა არის ..... ერთეული

(კლასის დასახელება)

გამოშვებული წილების ნომინალური ღირებულება (არსებობის შემთხვევაში) წილის ნომინალური ღირებულება უნდა განისაზღროს ერთეული წილის მიმართ და გამოხატული უნდა იყოს ერთეულში.აღნიშნული ინფორმაცია უნდა მიეთითოს თითოეული კლასის წილთან მიმართებით, თუ განსხკავებული კლასის წილები არსებობს

ერთი წილის ნომინალური ღირებულება (კლასის არ მქონე წილისთვის) არის ლარი

წილთა კლასების არსეზბობის შემთხვევაში

კლასის ერთი წილის წომინალური ღირებულება არის ..... ლარი

(კლასის დასახელება)

კლასის ერთი წილის ნომინალური ღირებულება არის ..... ლარი

(კლასის დასახელება)

000006 BJE

## გამოშვებული წილების განთავსების შემთხვევაში, კაპიტალში არსებული პარტნიორთა წილების და. შ პროცენტული მონაწილეობის ხელახალი გადანაწილება:

| N | **პარტნიორი პარტნიორები საიდენტიფიკაციო მონაცემები** | **წილის ოდენობა*** უნდა მიეთითოს მთელი რიცხვი (ერთეულები) | **პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობა განთავსებულ კაპიტალში*** გამოხატული პროცენტებით |
|---|---|---|---|
| 1 | | | |
| 2 | | | |
| 3 | | | |

ხელმძღვანელი ორგანო ..... დირექტორი

ხელმძღვანელი ორგანოს დასახელება **(მაგ. დირექტორი, დირექტორატი**, **დირექტორთა** საბჭო, პრეზიდიუმი და **სხვა**)

ხელმძღვანელი ორგანოს წევრი/წევრები

ფიზიკური პირის შემთხკეკაში სახელი, გვარი, პირადი წომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი; უფლეზამოსილების ვადა (თუ ასეთი ვადა განსაზღვრულია).

1. ნინო რაზმაძე (დაბ. თარიღი 01.08.1986, პირადი N: 01021015510, მცხ. ლადო ასათიანის 58)

*ხელმძღვანელი ორგანოს წევრების წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლები

უნდა მიეთითოს წევრები ერთობლივად (ერთად) წარმოადგენენ საზოგადობას, თუ ერთპიროვნულად (ცალ-ცალკე). თუ ხელმძღვანელი ორგანოს წევრებს აქვთ განსხვავებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, უნდა მიეთითოს თითოეული წევრის უფლებამოსილება.

ერთპიროვნულად

* სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის (ელექტრონულ მისამართის) მართვაზე პასუხისმგებელი ხელმძღვაწელობაზე **და წარმომადგენლობაზე** უფლებამოსილების მქონე პირი
რამდენიმე ხელმძღვანელი/წარმომადგენელი პირის არსებობის შემთხვევაში უნდა მიეთითოს მხოლოდ ერთი პირი

ნინო რაზმაძე (პ/ნ: 01021015510**)**

* სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის (ელექტრონულ მისამართის) მართვაზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირის ელექტრონული ფოსტის რო რეესტ მისამართი და ტელეფონის ნომერი

Email:
gogoratoys@gmail.com

(ელექტრონული ფოსტის მისამართი, განსაზღვრული უნდა იყოს ლათინული შრიფტით)

+995 596 60 87 87

(საქართველოში მოქმედი მობილური ოპერატორის მობილური ტელეფონის ნომერი)

## სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო **საბჭოს** <u>არსებობის შემთხვევაში</u> უწდა მიეთითოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობა და საბჭოს წევრები

სამეთვალყურეოს საბჭო შედგება ..... წევრისგან
(რაოდენობა**)**

სამეთვალყურეო **საბჭოს** წევრები

ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, იურიდიული პირის შემთხვეკაი სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი; უფლებამოსილების ვადა, თუ ასეთი ვადა განსაზღვრულია.

1.

2.

3.

## სხვა მმართველი ორგანო

(არსებობის შემთხვვაში)

(მმართველი **ორგანოს** დასახელება)

(მმართველი ორგანოს დასახელება)

**წევრები**

(ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი წომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი - ასევე უფლებამოსილების ვადა (თუ ასეთი ვადა განსაზღვრულია))

1.

2.

3.

## არსებობის შემთხვევაში გენერალური სავაჭრო წარმომადგენელი/პროკურისტი

(ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი -ასევე უფლებამოსილების ვადა (თუ ასეთი ვადა განსაზღვრულია)

## არსებობის შემთხვევაში პარტნიორის წილის მმართველი

(უნდა მიეთითოს პარტნიორის _ საიდენტიფიკაციო **მონაცემები**, სამართავი წილის ოდენობა და წილის მმართველი პირის საიდენტიფიკაკაციო მონაცემები (ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, **გვარი,** პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი) -არსებობის შემთხვევაში

დანართი:

დამფუძნებლების/პარტნიორების მიერ შემუშავებული სამეწარმეო საზოგადოების წესდება, რომელიც წარმოადგენს სადამფუძნებლო შეთანხმების ნაწილს

1. ნინო რაზმაძე (პ/ნ 01021015510) ხელმოწერა

   პარტნიორი ხელმძღვანელობაზე წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი

2. მურმან თურმანიძე (პ/ნ 61008007710) ხელმოწერა

   პარტნიორი/ხელმძღვანელობაზე წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი

თარიღი: 28 მარტი, 2025

# შეზღუდული პასუხისმგებლობის
# საზოგადოება

## შპს ,,გოგორა“ (ს/ნ 446759366)

## ინდივიდუალური წესდება

მუხლი **1.** ზოგადი დებულებები

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება („შპს“) არის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი სამეწარმეო საზოგადოება (იურიდიული პირი), რომლის კაპიტალი დაყოფილია წილებად, ხოლო ამ საზოგადოების ვალდებულებებისთვის პარტნიორების პასუხისმგებლობა შეზღუდულია.

2. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება წარმოშობილად ითვლება და იურიდიული პირის სტატუსს იძენს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით და ამ წესდებით. საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული ამ წესდებით, რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

4. ეს წესდება წარმოადგენს პარტნიორთა შორის დადებული სადამფუძნებლო შეთანხმების ნაწილს, რომელიც გამოხატავს მათ ურთიერთთანმხვედრ ნებას და იგი სავალდებულო ძალის მქონეა პარტნიორებისთვის. წესდებით განსაზღვრული ნორმები სავალდებულოა არა მხოლოდ მეწარმე სუბიექტის იმ დამფუძნებელთათვის, რომლებიც მეწარმე სუბიექტის დაფუძნების მომენტისთვის წარმოადგენენ პარტნიორებს, არამედ იმისთვისაც, ვინც მომავალში გახდება ამ სუბიექტის პარტნიორი.

5. პარტნიორთა შეთანხმება ემყარება პარტნიორია კეთილსინდისიერების, ურთიერთპატივისცემის, გადაწყვეტილების მართლზომიერად და გულისხმიერებით მიღების ზოგად პრინციპებს. პარტნიორთა მიერ დაცულია მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული სამეწარმეო საქმიანობის ძირითადი პრინციპები.

6. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შექმნის მიზანია მართლზომიერი, არაერთჯერადი და დამოუკიდებელი სამეწარმეო საქმიანობის საფუძველზე მოგების მიღება. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას უფლება აქვს მოგების მიღების მიზნით განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი სამეწარმეო საქმიანობა. ის საქმიანობა, რომლის განხორციელებაც კანონმდებლობით შესაძლებელია მხოლოდ _ სპეციალური ლიცენზიის/ნებართვის/ავტორიზაციის საფუძველზე, დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის/ნებართვის მიღების ან/და ავტორიზაციის მომენტიდან.

6.1 „გოგორას“ სოციალური საწარმოს საქმიანობა სპეციალიზებულია შემდეგ მიმართულებებში:

- საქართველოში ბავშვებისთვის უსაფრთხო და ეკომეგობრული ავეჯისა და სათამაშოების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა;
- ევროპული ხარისხისა და სტანდარტების შესაბამისი პროდუქციის წარმოება და ხელმისაწვდომი ფასით შეთავაზება;
- მიღებული შემოსავლის ნაწილის (3%) მაღალმთიან რეგიონებში ბავშვთა ფიზიკური აქტივობის სივრცეების შექმნას, უსაფრთხოების პირობების გაუმჯობესებას და რეგიონული ბავშვთა განვითარების ცენტრების ინვენტარით აღჭურვისთვის გამოყოფა;
- სახელმწიფო სექტორთან თანამშრომლობა საბავშვო ბაღების ინვენტარის უსაფრთხოებისა და მდგრადობის გაუმჯობესების მიზნით;
- სოციალური პასუხისმგებლობის მაღალი სტანდარტების დაცვა და მდგრადი განვითარების პრინციპებით საქმიანობა;
- ცირკულარული პროცესების დანერგვა, წარმოების ოპტიმიზაცია და ბუნებრივი რესურსების ეფექტური გამოყენება;
- ეკომეგობრული შეფუთვის, პასუხისმგებლიანი მიწოდებისა და მომხმარებელთან საუკეთესო ურთიერთობის უზრუნველყოფა;
- დასაქმების შესაძლებლობების შექმნა ადგილობრივებისთვის თბილისში და აჭარის მაღალმთიან მუნიციპალიტეტში - ქედაში;
- წარმოების პროცესის სრულად საკუთარ საწარმოებში განხორციელება, რაც პროდუქციის ხარისხის კონტროლის, ეკოლოგიური სტანდარტების დაცვისა და ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობას იძლევა;
- შესაბამისი სერტიფიცირებული ნედლეულის გამოყენება და მისი მრავალჯერადი დამუშავება უსაფრთხოებისა და იდეალური სიგლუვის უზრუნველსაყოფად;
- ევროპული, ბრიტანული და ამერიკული ბრენდების საუკეთესო პრაქტიკების შესწავლა და მათ მაგალითზე წარმოების პროცესის მუდმივი გაუმჯობესება;

7. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება თავისი მიზნების მისაღწევად ფლობს ქონებას, იძენს ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებს და კისრულობს ვალდებულებებს, ული **საა** ასევე შეუძლია თავისი სახელით გამოვიდეს სამართლებრივ ურთიერთობებში, კანონის ფარგლებში თავისუფლად დადოს გარიგებები როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, განსაზღვროს ამ ხელშეკრულების შინაარსი, დადოს ისეთი ხელშეკრულებები, რომლებიც კანონით არ არის გათვალისწინებული, მაგრამ

არ ეწინააღმდეგება მას, ასევე შეიძინოს ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები და იკისროს მოვალეობები, იყოს მოსარჩელე ან/და მოპასუხე სასამართლოში.

8. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოების ვალდებულებებისთვის საზოგადოების პარტნიორები და ხელმძღვანელები პასუხს არ აგებენ. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება პასუხს არ აგებს პარტნიორთა ვალდებულებებისთვის.

9. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. იგი თავად იღებს გადაწყვეტილებას მისთვის მნიშვნელოვან საკითხზე. საზოგადოება შედგება შესაბამისი ორგანოებისაგან, რომლებიც უზრუნველყოფენ მის მართვასა წარმომადგენლობას. საზოგადოების მართვის ორგანოები და მათი უფლებამოსილებები განსაზღვრულია სადამფუძნებლო შეთანხმებით. ამასთან, აღნიშნული ორგანოები საქმიანობას ახორციელებენ მხოლოდ მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.
10. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ასევე, საზოგადოებას შეიძლება ჰქონდეს ანგარიში საქართველოში ან უცხოეთის ქვეყნების საბანკო დაწესებულებებში, ელექტრონული შტამპი ან ბეჭედი, ბლანკი და ემბლემა. საზოგადოებას უფლება აქვს გახსნას შესაბამისი ანგარიშები ნებისმიერ ბანკში, როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში.

11. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას უფლება აქვს, დადგენილი წესის მიხედვით, გახსნას თავისი საწარმოები, ფილიალები და წარმომადგენლობები როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ, ასევე მონაწილეობა მიიღოს სხვა ორგანიზაციების და წარმოებების შექმნაში. საზოგადოება უფლებამოსილია გაერთიანდეს სხვადასხვა სახის გაერთიანებებში.

მუხლი 2. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები და მათი უფლება-მოვალეობები

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორი არის პირი, რომელიც საზოგადოების წილის მესაკუთრეა. პარტნიორი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი, აგრეთვე იურიდიული პირის სტატუსის არმქონე, რეგისტრირებული, დამოუკიდებელი ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელსაც შეუძლია საკუთარი სახელით შეიძინოს უფლებები და აიღოს ვალდებულებები.

2. პარტნიორებს გააჩნიათ და ეკისრებათ ამ წესდებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებები.

3. პარტნიორმა, თავისი უფლებებით სარგებლობისას, მხედველობაში უნდა მიიღოს როგორც საზოგადოების, ისე დანარჩენ პარტნიორთა კანონიერი ინტერესები და უფლებები.

○ საზოგადოების პარტნიორი საზოგადოების ვალდებულებებისთვის კრედიტორის წინაშე პირადად არ აგებს პასუხს.

○ გამონაკლის შემთხვევაში, თუ პარტნიორი ბოროტად იყენებს შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივ ფორმას და ამით აზიანებს კრედიტორის უფლებებს, ის პირადად აგებს პასუხს საზოგადოების ვალდებულებებზე, თუ საზოგადოებას არ შეუძლია კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

4. თანაბარ პირობებში ყველა პარტნიორს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვს.

○ გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს კანონით ან ამ წესდებით პირდაპირ არის გათვალისწინებული და საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარეობს.

5. პარტნიორს შეუძლია თავისი წილის განკარგვა, მათ შორის, მისი გადაცემა (გასხვისება ან უფლებრივად დატვირთვა) სხვა პარტნიორების თანხმობის გარეშე.

○ წილის განკარგვასთან დაკავშირებით ვრცელდება შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრული წესები და შეზღუდვები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

6. წილის გადაცემის (გასხვისების) შესახებ შეთანხმება უნდა გაფორმდეს წერილობით.

○ პარტნიორი ვალდებულია წილის გადაცემისთანავე წერილობით აცნობოს ამის შესახებ საზოგადოებას.

7. წილის გადაცემა ძალაში შედის მარეგისტრირებელი ორგანოს (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს) მიერ მისი რეგისტრაციისთანავე.

○ წილის გადაცემის მომენტში შესრულებელი ვალდებულებებისთვის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წინაშე სოლიდარულად აგებენ პასუხს როგორც წილის გამსხვისებელი, ისე მისი ახალი მფლობელი.

8. პარტნიორებს აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ საზოგადოების მართვაში ამ წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.

9. პარტნიორთა წილები განისაზღვრება მათი შენატანის პროპორციულად.

○ ყველა პარტნიორს აქვს ერთი კლასის წილი, რომლის ნომინალური ღირებულება ერთნაირია.

10. საზოგადოების რეგისტრაციამდე მისი სახელით ნაკისრი ვალდებულებებისთვის პირადად, შეუზღუდავად და სოლიდარულად აგებენ პასუხს დამფუძნებელი პარტნიორები

და ის პირები, რომლებმაც აღნიშნული ვალდებულებები დააწესეს.

- თუ საზოგადოება ამ ვალდებულებებს აიღებს საკუთარ თავზე, მაშინ დამფუძნებლები ამ პასუხისმგებლობისგან თავისუფლდებიან.

11. პარტნიორებს აქვთ უფლება შეიტანონ სარჩელი საზოგადოების კუთვნილი მოთხოვნის განსახორციელებლად.

12. ნებადართული კაპიტალის არსებობის შემთხვევაში პარტნიორებს აქვთ უპირატესი შესყიდვის უფლება ახალი წილების გამოშვებისას.

- უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენებისთვის საზოგადოება პარტნიორს უნდა მისცეს არანაკლებ 14-დღიანი გონივრული ვადა.

13. ახალი წილის გამოშვებისას უპირატესი შესყიდვის უფლების შეზღუდვა ან გამორიცხვა შესაძლებელია მხოლოდ პარტნიორთა 3/4-იანი ხმათა უმრავლესობით.

14. პარტნიორს აქვს უფლება გავიდეს საზოგადოებიდან, თუ პარტნიორთა ან საზოგადოების ხელმძღვანელობის ქმედებები მნიშვნელოვნად აზიანებს მის ინტერესებს, ან არსებობს კანონით გათვალისწინებული სხვა მნიშვნელოვანი საფუძვლები.

15. პარტნიორს აქვს უფლება მიიღოს დივიდენდი, რომელიც განისაზღვრება პარტნიორის წილის პროპორციულად.

- დივიდენდი დაუშვებელია, თუ მისი გაცემა საზოგადოების გადახდისუუნარობას გამოიწვევს.

16. მიღებული დივიდენდის უკან მოთხოვნა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პარტნიორმა მიღებისას იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ მისი განაწილება დარღვევით მოხდა.

17. პარტნიორებს შორის გასანაწილებელი დივიდენდების 60% რეინვესტირდება საზოგადოების საქმიანობაში, ხოლო დარჩენილი 40% ნაწილდება პარტნიორებს შორის.

18. თუ წილი რამდენიმე პირის თანასაკუთრებაშია, ისინი თანაპარტნიორებად მიიჩნევიან.

- ამ შემთხვევაში, წილთან დაკავშირებული უფლებები განახორციელოს ერთ-ერთმა თანაპარტნიორმა ან მათ მიერ დანიშნულმა მესამე პირმა.

19. თუ თანაპარტნიორები ან მემკვიდრეები ვერ თანხმდებიან წილის მართვაზე, სასამართლო ნიშნავს წილის მმართველს.

მუხლი 3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორის მიერ ინფორმაციის მიღებისა და დოკუმენტაციის გაცნობის უფლება

1. საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია, ნებისმიერი პარტნიორის მოთხოვნისთანავე, გონივრულ ვადაში მიაწოდოს ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ და მისცეს საქმიანი დოკუმენტაციის გაცნობის შესაძლებლობა.

2. ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაციის გაცემამ შესაძლოა არსებითად დააზიანოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ინტერესი.

○ უარი უნდა იყოს წერილობით დასაბუთებული.
○ ასევე, ინფორმაციის გაცემაზე უარი შესაძლებელია, თუ მოთხოვნილი ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია.

მუხლი 4. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორის მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება

1. თუ საზოგადოების დომინანტმა პარტნიორმა განზრახ გამოიყენა თავისი დომინანტური მდგომარეობა საზოგადოების საზიანოდ, ის ვალდებულია სრულად აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.

2. დომინანტ პარტნიორად მიიჩნევა ის პარტნიორი ან პარტნიორთა ჯგუფი, რომელსაც აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს საერთო კრებაზე ჩატარებული კენჭისყრის შედეგზე.

○ ასეთმა პარტნიორმა/პარტნიორთა ჯგუფმა, გარდა საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანისა, აგრეთვე უნდა აანაზღაუროს პარტნიორებისთვის მიყენებული ზიანი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ზიანი უშუალოდ გამომდინარეობს საზოგადოების ზარალიდან, მათ შორის, პარტნიორის წილის ღირებულების შემცირებით.
3. პირი, რომელმაც განზრახ გამოიყენა თავისი გავლენა საზოგადოების საწინააღმდეგოდ ან მოახდინა ზეწოლა საზოგადოების მმართველი ორგანოს წევრებზე, რათა მათ მიეღოთ საზიანო გადაწყვეტილება, ვალდებულია აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი.

○ ამ პირის ვალდებულება მოიცავს არა მხოლოდ საზოგადოების მიმართ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, არამედ იმ პარტნიორების ზარალის კომპენსაციასაც, რომლებიც აღნიშნული ქმედების შედეგად დაზარალდნენ.
4. საზოგადოების მმართველი ორგანოს წევრი, რომელმაც არ შეასრულა თავისი

მოვალეობები და ამან გამოიწვია ზიანი, სოლიდარულად აგებს პასუხს იმ პირთან ერთად, რომელმაც განზრახ მოახდინა გავლენა აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე.

○ საზოგადოების მმართველი ორგანოს მიერ ამ ქმედების მოწონება არ ათავისუფლებს პასუხისმგებელი პირებს ზიანის ანაზღაურებისგან.
○ თუ მმართველი პირი მოქმედებდა საერთო კრების კანონიერად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ის არ ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი.
5. საზოგადოებისთვის მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებელია ასევე ის პირი, რომელმაც ზიანის გამომწვევი ქმედებიდან მიიღო სარგებელი და განზრახ მოახდინა ზეწოლა გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე.

6. საზოგადოებას არ აქვს უფლება უარი თქვას კრედიტორისთვის ზიანის ანაზღაურებაზე იმ საფუძვლით, რომ ზიანის გამომწვევი ქმედება განხორციელდა საერთო კრების გადაწყვეტილებით.

მუხლი 5. შენატანი

1. შენატანი არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის საკუთრებაში გადაცემული ქონება, რომლის ეკონომიკური ღირებულება აისახება საზოგადოების ბალანსში.

2. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალში შენატანის შეტანის ვალდებულება შეიძლება შესრულდეს:

○ ფულის გადახდით (ფულადი შენატანი);
○ სხვა მატერიალური ან არამატერიალური ქონებრივი სიკეთის გადაცემით (არაფულადი შენატანი);
○ სამუშაოს შესრულებით ან მომსახურების გაწევით, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას (არაფულადი შენატანი).
3. ფულადი შენატანი განხორციელებულად მიიჩნევა იმ მომენტიდან, როდესაც თანხა ჩაირიცხება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიერ გახსნილ საბანკო ანგარიშზე.

4. არაფულადი შენატანი განხორციელებულად მიიჩნევა საკუთრების უფლების გადაცემის ან სხვა საჭირო სამართლებრივი მოქმედებების დასრულების მომენტიდან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

5. თუ არაფულადი შენატანის ღირებულება, მისი განხორციელების დროს, ნაკლებია შეთანხმებულ შენატანის ოდენობაზე, პარტნიორი ვალდებულია ფულადი სახით შეავსოს

აღნიშნული სხვაობა.

6. თუ არაფულადი შენატანის ღირებულება, მისი განხორციელების დროს, აღემატება შეთანხმებულ შენატანის ოდენობას, პარტნიორს აქვს უფლება მოითხოვოს სხვაობის ფულადი სახით დაბრუნება.

○ საზოგადოებას უფლება აქვს აღნიშნული ვალდებულების შესრულება გადაავადოს არაუმეტეს 1 (ერთი) წლით.

7. არაფულადი შენატანის ღირებულების შესაბამისობის შეფასებასა და ვალდებულების შესრულების პროცესის ორგანიზებას უზრუნველყოფს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი ორგანო.

8. პარტნიორის მოთხოვნის შემთხვევაში, ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია წარუდგინოს პარტნიორს წერილობითი ცნობა შემდეგ საკითხებზე:

○ შენატანის განხორციელების ვალდებულება;
○ მისი შესრულების ან ნაწილობრივი შესრულების სტატუსი;
○ შესრულების ვადები და პირობები.

9. შენატანის განხორციელების შესახებ გაცემულ წერილობით ცნობაში ბრალეული უზუსტობის არსებობის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა ეკისრება საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ ორგანოს.

10. დაუშვებელია პარტნიორის გათავისუფლება შენატანის შეტანის ვალდებულებისაგან, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11. შენატანი უნდა შესრულდეს პარტნიორთა მიერ შეთანხმებული წესითა და ვადებში.

მუხლი 6. კაპიტალი

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას შეიძლება ჰქონდეს განთავსებული კაპიტალი.

2. თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას აქვს მხოლოდ ნომინალური ღირებულების წილები, განთავსებული კაპიტალის ოდენობა უნდა შეადგენდეს ნომინალური ღირებულების წილების ჯამს.

○ იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებას განთავსებული აქვს როგორც ნომინალური ღირებულების მქონე, ისე ნომინალური ღირებულების არმქონე წილები, განთავსებული კაპიტალის ოდენობა უნდა აღემატებოდეს ნომინალური ღირებულების მქონე წილების

ჯამს.

○ თუ საზოგადოებას განთავსებული აქვს მხოლოდ ნომინალური ღირებულების არმქონე წილები, განთავსებული კაპიტალის ოდენობა შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ოდენობით.

3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების განთავსებული კაპიტალი გამოისახება ეროვნულ ვალუტაში (ლარში).

4. განთავსებული კაპიტალის თავდაპირველი ოდენობა განისაზღვრება სადამფუძნებლო შეთანხმებით.

○ გადაწყვეტილება განთავსებული კაპიტალის შეცვლის შესახებ მიიღება პარტნიორების მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მმართველი ორგანოები

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ორგანოებია:

○ პარტნიორთა საერთო კრება;

○ ხელმძღვანელი ორგანო (დირექტორი ან დირექტორთა საბჭო, თუ ასეთი არსებობს).

2. საზოგადოების მმართველი ორგანოები ახორციელებენ საქმიანობას და იღებენ გადაწყვეტილებებს მხოლოდ კანონით ან/და ამ წესდებით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი **8.** საერთო კრება

1. საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ყველა პარტნიორს, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევისა,

2. თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას ერთადერთი პარტნიორი ჰყავს, პარტნიორთა კრების უფლებამოსილებას ის ახორციელებს. ამგვარი უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება წერილობით ფორმდება.

3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ, წლიური ბალანსის შედგენიდან არაუგვიანეს 6 თვისა ატარებს მორიგ საერთო კრებას. მორიგ საერთო კრებას იწვევს და მისი ჩატარებისთვის პასუხისმგებელია საზოგადოების

ხელმძღვანელი ორგანო.
4. საერთო კრება ტარდება ხელმძღვანელი ორგანოს მიერ საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინების ელექტრონული პორტალის სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე (ელექტრონულ მისამართზე) საჯაროდ გამოქვეყნებიდან და პარტნიორებისთვის მოსაწვევების გაგზავნიდან სულ ცოტა 14 დღის შემდეგ. საერთო კრების ჩატარების ადგილი და დრო გაუმართლებლად არ უწდა ზღუდავდეს პარტნიორის საერთო კრებაში მონაწილეობის უფლებას. საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინება/მოსაწვევი უნდა შეიცავდეს საერთო კრების დღის წესრიგს. საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინების ელექტრონული პორტალის სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე ელექტრონულ მისამართზე) საჯაროდ გამოქვეყნებიდან 7 დღის შემდეგ, პარტნიორისთვის კრების მოწვევის შესახებ შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პარტნიორი დაამტკიცებს, რომ სხვა პარტნიორისთვის კრების მოწვევის თაობაზე უფრო ადრე იყო ცნობილი.
5. პარტნიორს უფლება აქვს ხელმძღვანელ ორგანოს მოსთხოვოს საერთო კრების დღის წესრიგის თითოეული საკითხის თაობაზე განმარტებების გაცემა და წარადგინოს თავისი მოთხოვნააზრი. თუ პარტნიორის მოთხოვნა საერთო კრებამდე სულ ცოტა 3 დღით ადრე წერილობით იქნება წარდგენილი, იგი უნდა დაკმაყოფილდეს ან შეტანილი უნდა იქნეს დღის წესრიგში ერთ-ერთ საკითხად. პარტნიორს შეუძლია ამავე წესით მოითხოვოს დღის წესრიგში საკითხის შეტანა/დამატება. საერთო კრების დღის წესრიგის საკითხის თაობაზე განმარტებების გაცემაზე აწ დღის წესრიგში საკითხის შეტანის მოთხოვნაზე უარის თქმა დასაშვებია მხოლოდ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების არსებითი ინტერესების დასაცავად, რაც წერილობით უნდა იქნეს დასაბუთებული.
6. პარტნიორთა რიგგარეშე კრების მოწვევის უფლება აქვს ხელმძღვანელ ორგანოს, ხოლო ხელმძღვანელი პირების არყოფნის შემთხვევაში (გარდაცვალება, თანამდებობიდან სხვაგვარად შეწყვეტა და სხვა) გადადგომა, უფლებამოსილების ფლობს/ფლობენ შეზღუდული მათი პარტნიორს/პარტნიორებს, რომელიც/რომლებიც პასუხისმგებლობის საზოგადოების წილების ან ხმის უფლების მქონე წილების, სულ მცირე, 5 პროცენტს.

7. პარტნიორს/პარტნიორებს, რომელიც რომლებიც ფლობს/ფლობენ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წილების ან ხმის უფლების მქონე წილების, სულ მცირე, 5 პროცენტს (ინიციატორი პარტნიორი/პარტნიორები), უფლება აქვს/აქვთ წესდების შესაბამისად კრების მოწვევის უფლებამოსილების მქონე ორგანოს მოსთხოვოს/მოსთხოვონ პარტნიორთა რიგგარეშე კრების მოწვევა. პარტნიორთა რიგგარეშე კრების მოწვევის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა ბოლო საერთო კრების ჩატარებიდან არაუადრეს 1 თვისა.

8. პარტნიორთა რიგგარეშე კრების მოწვევის შესახებ ინიციატორი პარტნიორის/პარტნიორების მოთხოვნა წერილობით უნდა იქნეს წარდგენილი და უნდა შეიცავდეს მისი დღის წესრიგის საკითხებს. ამ საკითხების შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობას, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიზნებსა

და საქმიანობის ხასიათს. ხელმძღვანელი _ ორგანო ვალდებულია აღნიშნული მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 3 თვისა ჩაატაროს პარტნიორთა რიგგარეშე კრება.

9. თუ
რიგგარეშე
კრების
მოწვევის შესახებ ინიციატორი პარტნიორთა პარტნიორის/პარტნიორების მოთხოვნის წარდგენიდან 20 დღის ვადაში ის არ მოიწვევა, ინიციატორ პარტნიორს/პარტნიორებს უფლება აქვს/აქვთ თავად მოიწვიოს/მოიწვიონ რიგგარეშე კრება, დაამტკიცოს/დაამტკიცონ მისი დღის წესრიგი და აირჩიოს აირჩიონ რიგგარეშე კრების თავმჯდომარე „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლით დადგენილი წესით პარტნიორთა რიგგარეშე კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრებიან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ხმების უმრავლესობის მფლობელი პარტნიორები.
10. პარტნიორთა რიგგარეშე კრება მოიწვევა და ტარდება საერთო კრებისთვის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით და ამ წესდებით დადგენილი წესების დაცვით.
სპატოო რ
პატი
11. საერთო კრება ირჩევს საერთო კრების თავმჯდომარეს. საერთო კრების თავმჯდომარის რო არჩევამდე ან იმ შემთხვევაში, თუ თავმჯდომარე არ იქნა არჩეული, საერთო კრებას თავმჯდომარეობს მისი მომწვევი პირი, მომწვევი ორგანოს თავმჯდომარე ან მომწვევი იურიდიული პირის ხელმძღვანელი, ხოლო თუ მომწვევი რამდენიმე პირია – მომწვევ პირთა ან მომწვევ იურიდიულ პირთა ხელმძღვანელებისგან წილისყრით შერჩეული პირი.

12. საერთო კრების მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორებისა და ორგანოებისთვის.

13. საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს იმ საკითხზე, რომელიც კანონით და ამ წესდებით საერთო კრების უფლებამოსილებას განეკუთვნება საერთო კრების უფლებამოსილება შეიძლება გაფართოვდეს პარტნიორთა გადაწყვეტილების საფუძველზე.

14. საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებას ხელმძღვანელი ორგანოს მიერ გაწეული მუშაობის მოწონების შესახებ. მოწონება იწვევს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიერ ამ ორგანოების მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმას, თუ ეს უფლება აშკარა იქნებოდა საერთო კრებისთვის წარდგენილი დოკუმენტებისა მიწოდებული ინფორმაციის გულმოდგინედ შემოწმების შემთხვევაში.

15. თუ საერთო კრებას ყველა პარტნიორი ესწრება და ისინი თანახმა არიან კრების ჩატარებასა და გადაწყვეტილების მიღებაზე, კრების ჩატარება შესაძლებელია იმ

შემთხვევაშიც, თუ კრების მოწვევის კანონით ან/და ამ წესდებით დადგენილი წესები არ იქნა დაცული. თუ პარტნიორის თანხმობად მიიჩნევა, თუ იგი არ მოითხოვს _ საერთო კრების სხვა დროს ჩატარებას მისი მოწვევის პროცედურის დარღვევის გამო.

16. საერთო კრების სათანადოდ მოწვევისა და ჩატარებისთვის პასუხისმგებელია ამ კრების მომწვევი ორგანო/პირი.

17. საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუკი მას ესწრებაესწრებიან ხმების უმრავლესობის (ანუ ჯამურად 50%-ზე მეტი წილის) მქონე პარტნიორი/პარტნიორები.

18. საერთო კრება ნებისმიერ გადაწყვეტილებას იღებს კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონით განსაზღვრულია ხმათა უფრო დიდი რაოდენობა ან სხვა, დამატებითი პირობები.

19. საერთო კრებაზე შეიძლება მოწვეულ იქნენ აგრეთვე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ხელმძღვანელი და სხვა პირები.

20. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორის მიერ ხმის მიცემისა და პარტნიორთა გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის წესები და პირობები დგინდება ამ წესდებითა და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით. საერთო კრების მოწვევის შესახებ პარტნიორებისთვის გაგზავნილ დოკუმენტში ან პარტნიორთა გადაწყვეტილების პროექტში აუცილებელია, ამ წესებსა და პირობებზე მითითება.

21. პარტნიორს, რომელიც საერთო კრებაში არც პირადად და არც წარმომადგენლის მეშვეობით არ მონაწილეობს, შეუძლია ამ კრების ჩატარებამდე დისტანციურად, წერილობით, მისცეს ხმა მისი დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით.

22. საერთო კრებაზე დამსწრე ან არმყოფი პარტნიორის მიერ ხმის ტექნიკური საშუალების გამოყენებით მიცემული ხმა მხოლოდ მაშინ იქნება გათვალისწინებული, თუ შესაძლებელია ხმის უფლების გამოყენების უფლებამოსილების მქონე პირისა და შესაბამისი წილების სარწმუნო იდენტიფიცირება. ნების ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით გამოვლენისას აუცილებელია, იგი დადასტურდეს ნოტარიუსის მიერ ან კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

23. ხმის უფლების გამოყენების უფლებამოსილების მქონე პირისა და შესაბამისი წილების სარწმუნო იდენტიფიცირებისთვის პასუხისმგებელი არიან საერთო კრების თავმჯდომარე და ამ კრების მომწვევი ორგანო.

24. საზოგადოების პარტნიორი საერთო კრებაში პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობს. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება (მინდობილობა) გაიცემა წერილობით, ერთ ან რამდენიმე საერთო კრებაზე წარმომადგენლობის ან გარკვეული ვადის განმავლობაში წარმომადგენლობის უფლებით,

25. საერთო კრებაში პარტნიორის წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობის თაობაზე უნდა ეცნობოს საერთო კრების მომწვევ ორგანოს და მას შესაბამისი მინდობილობა ამ კრების ჩატარებამდე ან კრების დაწყებისთანავე უნდა წარედგინოს.

26. საერთო კრების მოწვევის, მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ ამ კრების დასრულებიდან 15 დღის ვადაში დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საერთო კრების მიერ არჩეული საერთო კრების თავმჯდომარე. კრების ოქმის ნამდვილობასა და მასში მითითებული ფაქტების სისწორეზე პასუხისმგებელია კრების თავმჯდომარე. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საერთო კრების ოქმს ადგენს და ამოწმებს ნოტარიუსი. საერთო კრების ოქმი დაუყოვნებლივ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ხარჯზე ეგზავნება პარტნიორებს.

27. საერთო კრების ოქმში უნდა აღინიშნოს:
ა) შეზღუდული
პასუხისმგებლობის საზოგადოების საფირმო სახელწოდება და საიდენტიფიკაციო წომერი;
ბ) საერთო კრების ჩატარების ადგილი და თარიღი/დრო;
გ) მითითება საერთო კრების მოწვევის პროცედურის დაცვასა და
გადაწყვეტილებაუნარიანობაზე. ოქმს შეიძლება დაერთოს აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებული დოკუმენტები;

დ) ძირითად დოკუმენტში ან დანართის სახით საერთო კრების მუშაობაში მონაწილე ან მასზე დამსწრე ხმის უფლების მქონე პარტნიორთა და სხვა დამსწრე პირთა ჩამონათვალი და საიდენტიფიკაციო მონაცემები. წარმომადგენლობის შემთხვევაში ოქმს უნდა დაერთოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტი ან
უნდა მიეთითოს ასეთ დოკუმენტზე, თუ მას შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სხვა დოკუმენტებთან ერთად ინახავს;
ე) საერთო კრების თავმჯდომარის საიდენტიფიკაციო მონაცემები;
ვ) საერთო კრების დღის წესრიგი;
ზ) საერთო კრების გადაწყვეტილება. მასში მითითებული უნდა იყოს კენჭისყრის შედეგები;
თ) საერთო კრების მონაწილის მიერ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების მიმართ განსხვავებული აზრის გამოთქმის ან საწინააღმდეგო პოზიციის გამოხატვის შემთხვევაში კრების შესაბამისი მონაწილის ვინაობა და საწინააღმდეგო პოზიციის შინაარსი, თუ იგი მოითხოვს ამ აზრის/პოზიციის ოქმში შეტანას.

მუხლი **9.** საერთო კრების უფლებამოსილება

1. პარტნიორთა გადაწყვეტილების მიღება აუცილებელია შემდეგ საკითხებზე:

ა) ფინანსური ანგარიშის დამტკიცება;

ბ) საზოგადოების ქონების წლიური და შუალედური დივიდენდების პარტნიორთა შორის განაწილება;

გ) საზოგადოების მიერ საკუთარ კაპიტალში წილის შეძენა;

დ) წილებიდან ან წილების კლასებიდან გამომდინარე უფლებების ცვლილება;

ე) პარტნიორის გარიცხვა საზოგადოებიდან;

ვ) პარტნიორის გასვლა საზოგადოებიდან;

ზ) ხელმძღვანელი პირის თანამდებობაზე დანიშვნა, მასთან სასამსახურო ხელშეკრულების დადება და მისი თანამდებობიდან გათავისუფლება;

თ) სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა;

ი) ხელმძღვანელი პირის/ორგანოს ანგარიშების დამტკიცება;

კ) ხელმძღვანელი ორგანოს წევრის/პირის წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო პროცესში მონაწილეობა (მათ შორის, ამ პროცესისთვის წარმომადგენლის დანიშვნა);

ლ) საზოგადოების რეორგანიზაცია;

მ) საზოგადოების დაშლა;

ნ) საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმებაში ცვლილება/წესდების ახალი რედაქციის მიღება.

ო) საზოგადოების მიერ უძრავი ქონების შეძენა ან/და გაყიდვა.

2. პარტნიორთა გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების ნახევარზე მეტი, თუ ამ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. პარტნიორის ხმების რაოდენობა გამოითვლება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალში ამ პარტნიორის წილის მიხედვით.

3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმებაში ცვლილება/წესდების ახალი რედაქცია მიღებული უნდა იქნეს კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების 3/4-ის უმრავლესობით.

4. იმ გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ეხება წილების რომელიმე კლასთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაკავშირებული უფლების ცვლილებას (მათ შორის, უფლების განხორციელების პროცედურის ცვლილებას), დამატებით საჭიროებს ცვლილებისადმი დაქვემდებარებული კლასის განთავსებულ წილებთან დაკავშირებული ხმების საერთო რაოდენობის, სულ მცირე, 3/4-ის მფლობელთა თანხმობას.

5. თუ პარტნიორი, მისაღები გადაწყვეტილების თანახმად, თავისუფლდება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წინაშე ნაკისრი ვალდებულებისგან, მისი

ვალდებულების მოცულობა მცირდება, გადაწყვეტილება ეხება მასთან გარიგების დადებას ან მის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრას, მორიგებას ან სარჩელზე უარის თქმას, მას არ აქვს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ხმის მიცემის უფლება. მას ასევე არ აქვს უფლება სხვა პარტნიორის სახელით მისცეს ხმა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი მინდობილობა ამ საკითხს ეხება.

6. საერთო კრების გადაწყვეტილება/ოქმი ნამდვილია, თუ:
ა) საერთო კრება მოწვეულია უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ კანონმდებლობითა და ამ წესდებით დადგენილი წესით;
ბ) საერთო კრების ოქმი დამოწმებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით;
გ) საერთო კრების მოწვევის შესახებ ელექტრონული პორტალის სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის წერილობით გვერდზე გამოქვეყნებულ შეტყობინებაში/პარტნიორებისთვის გაგზავნილ მოსაწვევში მითითებულია საერთო კრების დღის წესრიგი, საზოგადოების საფირმო სახელწოდება, საერთო კრების ჩატარების ადგილი თარიღი და დაწყების დრო;
დ) დაცულია საერთო კრების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების პარტნიორებისთვის შეტყობინების წესი;
ე) საერთო კრებაზე განსახილველი საკითხი განეკუთვნება საერთო კრების უფლებამოსილებას;

ვ) გადაწყვეტილება სადამფუძნებლო შეთანხმებაში ცვლილების წესდების ახალი რედაქციის მიღების შესახებ არ ეწინააღმდეგება კანონს;
ზ) გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება კანონის იმ ნორმებს, რომელთა უმთავრესი მიზანია კრედიტორთა უფლებების დაცვა;
თ) გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.

7. საერთო კრების გადაწყვეტილება/ოქმი საჩივრდება სასამართლოში.

8. ხელმძღვანელი პირები ვალდებული არიან საერთო კრების გადაწყვეტილების ბათილობის თაობაზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ წარუდგინონ მარეგისტრირებელ ორგანოს, თუ საერთო კრების გასაჩივრებული გადაწყვეტილების საფუძველზე უკვე განხორციელდა რეგისტრაცია.

9. ხელმძღვანელი პირები ვალდებული არიან საერთო კრების გადაწყვეტილების ან მისი ნაწილის ბათილობის თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ განათავსონ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ვებგვერდზე ან სხვაგვარად მიაწოდონ პარტნიორებს.

მუხლი 10. ხელმძღვანელი ორგანო

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას ხელმძღვანელობს და მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენს ხელმძღვანელი ორგანო, რომელიც შედგება ერთი ან რამდენიმე ხელმძღვანელი პირისგან. რამდენიმე ხელმძღვანელი პირის არსებობის შემთხვევაში გამოიყენება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი ნორმები სააქციო საზოგადოების ორგანოების შესახებ, ხელმძღვანელი პირი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური პირი, ისე იურიდიული პირი. ხელმძღვანელი ორგანოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირთან ურთიერთობაში არ შეიძლება შეიზღუდოს.

2. ხელმძღვანელი პირი ვალდებულია ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებების განნორციელებისას პარტნიორთა გადაწყვეტილებას დაემორჩილოს.

3. ხელმძღვანელი პირი უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს ყველა იმ საკითხზე, რომელიც, კანონის ან ამ წესდების თანახმად, არ განეკუთვნება პარტნიორთა კომპეტენციას. ამასთანავე, საერთო კრება უფლებამოსილია კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების 3/4-ის უმრავლესობით მიიღოს გადაწყვეტილება ნებისმიერ საკითხზე.

4. ხელმძღვანელ პირთან ურთიერთობის შინაარსი და მისი საქმიანობის ანაზღაურება განისაზღვრება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და სასამსახურო ხელშეკრულებით, რომელსაც ხელმძღვანელ პირთან დებს საერთო კრება.

5. ხელმძღვანელი პირის გარდაცვალების, თანამდებობიდან გადადგომის ან უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტის შემთხვევაში პარტნიორებმა ახალი ხელმძღვანელი პირი 1 თვის ვადაში უნდა აირჩიონ.

6. თუ ხელშეკრულების დადებისას კონტრაჰენტისთვის ცნობილი იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ, საზოგადოებას აქვს ამ ხელშეკრულების შეცილების უფლება. იგივე წესი გამოიყენება, თუ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი და კონტრაჰენტი განზრახ მოქმედებენ ერთად, რათა ზიანი მიადგეს იმ სამეწარმეო საზოგადოებას, რომლის სახელითაც მოქმედებს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

7. თუ ხელმძღვანელი ორგანო რამდენიმე წევრისგან შედგება, ისინი საკუთარი შემადგენლობიდან ხმათა უმრავლესობით ირჩევენ ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარეს, რომელიც ახორციელებს ორგანიზაციულ კოლეგიური ხელმძღვანელი ორგანოს ხელმძღვანელობას, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. თუ კანდიდატები

თანაბარი რაოდენობის ხმებს მიიღებენ, ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარე წილისყრით შეირჩევა.

8. კოლეგიური ხელმძღვანელი ორგანოს სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა უმრავლესობა. თუ სხდომას არ ესწრება ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარე, დამსწრე წევრები ხმათა უმრავლესობით ირჩევენ სხდომის თავმჯდომარეს. ხელმძღვანელი ორგანო გადაწყვეტილებას იღებს მის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. გადაწყვეტილების მიღებისას ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარის/სხდომის თავმჯდომარის ხმა, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

9. თუ საერთო კრება ვერ დანიშნავს ხელმძღვანელი ორგანოს წევრს, რითაც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების საქმიანობას არსებითი საფრთხე ექმნება, ერთ-ერთი პარტნიორის ან კრედიტორის განცხადების საფუძველზე სასამართლო ნიშნავს ხელმძღვანელი ორგანოს წევრის მოვალეობის შემსრულებელს იმ ვადით, რომელიც საჭიროა საერთო კრების მიერ ახალი წევრის დანიშვნისთვის.

10. საზოგადოების ხელმძღვანელ პირს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საერთო კრება.

11. ხელმძღვანელი პირი თანამდებობაზე ინიშნება არაუმეტეს 3 წლის ვადით, ხელახლა დანიშვნის უფლებით. თუ ამ ვადის ამოწურვის შემდეგ კანონით დადგენილი წესით არ განხორციელდება უფლებამოსილების ახალი ვადისა ან  ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ცვლილების რეგისტრაცია, რეგისტრირებული ხელმძღვანელი პირის უფლებამოსილება განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებულად მიიჩნევა.

12. ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადა არ უნდა აღემატებოდეს ხელმძღვანელ ორგანოში მისი წევრობის უფლებამოსილების ვადას.

13. საერთო კრება უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გაათავისუფლოს _ თანამდებობიდან ხელმძღვანელი პირი შესაბამისი საფუძვლის მითითების გარეშე. ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც ამ დებულებას ეწინააღმდეგება, ბათილია.

14. ხელმძღვანელ პირს უფლება აქვს გადადგეს თანამდებობიდან ასეთ შემთხვევაში ხელმძღვანელი ვალდებულია დაიცვას საზოგადოებასთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები და პროცედურები.

მუხლი 11. საზოგადოების ხელმძღვანელობის ზოგადი პრინციპები

1. ხელმძღვანელი პირი ვალდებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების საქმეებს მართლზომიერად გაუძღვეს ხელმძღვანელის და კეთილსინდისიერი გულისხმიერებით, კერძოდ, მასზე ისე ზრუნავდეს, როგორც ანალოგიურ პირობებში უნდა ეზრუნა/ემოქმედა ჩვეულებრივ, საღად მოაზროვნე პირს, იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება საზოგადოებისთვის ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელია.

2. ხელმძღვანელი პირი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წინაშე პასუხს აგებს კეთილსინდისიერების მოვალეობის ბრალეული შეუსრულებლობით მიყენებული ზიანისთვის. დაუშვებელია შეიზღუდოს ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობა ამ მოვალეობის განზრახ შეუსრულებლობისთვის.

3. ხელმძღვანელი პირის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს ხელმძღვანელ ორგანოს, სხვა ხელმძღვანელ პირს, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში და დადგენილი წესით თითოეულ პარტნიორს,

4. ხელმძღვანელი პირი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, თუ იგი თავისი ქმედებით საერთო კრების გადაწყვეტილებას ასრულებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მან საერთო კრების გადაწყვეტილების მიღებას ხელი შეუწყო არასწორი ინფორმაციის მიწოდებით ან იცოდა, რომ ამ გადაწყვეტილების მიღება ზიანს გამოიწვევდა, მაგრამ ამის თაობაზე არ შეატყობინა საერთო კრებას გადაწყვეტილების მიღებამდე ან აღსრულებამდე.

5. თუ გარიგების ღირებულება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების აქტივების საბალანსო ღირებულების 50 პროცენტს აღემატება, გარიგება საერთო კრებამ უნდა დაამტკიცოს.

6. თუ შეზღუდული პასუნისმგებლობის საზოგადოება გადახდისუუნარობის საშიშროების წინაშე დგას, ხელმძღვანელმა პირმა ბრალეული გაჭიანურების გარეშე, მაგრამ გადახდისუუნარობის დადგომის მომენტიდან არაუგვიანეს 3 კვირისა, უნდა განაცხადოს გადახდისუუნარობის თაობაზე „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება ბრალეულად გაჭიანურებული არ არის, თუ ხელმძღვაწელი პირი ზრუნვის მოვალეობას ჯეროვნად ასრულებს.

7. ზრუნვის მოვალეობა არ არის დარღვეული და ხელმძღვაწელი პირი არ არის ვალდებული, აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას მის მიერ მიღებული სამეწარმეო გადაწყვეტილებით მიადგა, თუ

ხელმძღვაწელ პირს გონივრულად  შეეძლო ევარაუდა, რომ იგი სამეწარმეო გადაწყვეტილებას საკმარისი და სანდო ინფორმაციის საფუძველზე, საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად და ინტერესთა კონფლიქტის ან სხვათა ზეგავლენის გარეშე იღებდა. აღნიშნული წესი არ გამოიყენება იმ წესდებით შემთხვევაში, როდესაც სამეწარმეო გადაწყვეტილება კანონით გათვალისწინებული მოვალეობების დარღვევით არის მიღებული.

8. ხელმძღვანელ პირს არ აქვს უფლება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების თანხმობის გარეშე განახორციელოს იგივე საქმიანობა, რომელსაც ახორციელებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ან იყოს იმავე სფეროში მოქმედი სხვა სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი პირი. ხელმძღვანელ პირთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულებით აღნიშნული ვალდებულება შეიძლება ძალაში დარჩეს მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგაც, მაგრამ არაუმეტეს 3 წლის ვადით. ამ ვალდებულების დარღვევისთვის შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს კომპენსაცია. მისი ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება სასამსახურო ხელშეკრულებით ან მხარეთა დამატებითი შეთანხმებით. კონკურენციის აკრძალვის წესის დარღვევის შემთხვევაში საზოგადოებას შეუძლია დამრღვევს, მისთვის მიყენებული ზიანისთვის კომპენსაციასთან ერთად, შეთანხმებული პირგასამტეხლოს გადახდაც მოსთხოვოს. მას ასევე შეუძლია დამრღვევს კომპენსაციის ნაცვლად მოსთხოვოს საკუთარი ან მესამე პირის სახელით დადებული გარიგებიდან დამრღვევის მიერ მიღებული სარგებლის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის გადაცემა ან ამგვარი სარგებლის მიღების უფლების დათმობა. ამ უფლების გამოყენება შეუძლია ხელმძღვანელ ორგანოს, სხვა ხელმძღვანელ პირს, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში – თითოეულ პარტნიორს.
ამ მუხლის მე-8 პუნქტით.

9. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებაზე თანხმობის გაცემა შეუძლია საერთო კრებას. აღნიშნული თანხმობა შეიძლება გაიცეს როგორც ზოგადად, ისე კონკრეტულ საქმიანობაზე, გარიგების სახესა და სამეწარმეო საზოგადოებაში მონაწილეობაზე. თანხმობის გაცემაზე დაუსაბუთებლად უარის თქმა დაუშვებელია. საქმიანობის განხორციელებაზე თანხმობა გაცემულად - მიიჩნევა, თუ საზოგადოების ხელმძღვანელი პირის დანიშვნისას პარტნიორებმა იცოდნენ, რომ საზოგადოების ხელმძღვანელი პირი ახორციელებდა აღნიშნულ საქმიანობას, მაგრამ მისთვის ამ საქმიანობის შეწყვეტა არ მოუთხოვიათ.

10. ხელმძღვანელ პირს არ აქვს უფლება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წინასწარი თანხმობის გარეშე, პირადი სარგებლის ან, ამ საზოგადოების გარდა, სხვა პირთა მიერ სარგებლის მისაღებად ისარგებლოს საზოგადოების საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული საქმიანი შესაძლებლობით, რომელიც მისთვის ხელმისაწვდომი გახდა მოვალეობის შესრულებისას ან თანამდებობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე და

რომელიც, გონივრული თვალსაზრისით, საზოგადოების ინტერესის საგანი შეიძლებოდა ყოფილიყო. საზოგადოების წინასწარი თანხმობის მიღება საჭირო არ არის, თუ საერთო კრებამ უკვე იმსჯელა აღნიშნულ შესაძლებლობაზე და უარი თქვა მის გამოყენებაზე. ეს ვალდებულება ძალაში რჩება ხელმძღვანელი პირის თანამდებობიდან გათავისუფლებიდან არაუმეტეს 3 წლისა. ხელმძღვანელი პირთან დადებული სასამსახურო _ ხელშეკრულებით შეიძლება უფრო მცირე ვადა დადგინდეს. საქმიანი შესაძლებლობით სარგებლობაზე წინასწარი თანხმობის გაცემა შეუბლია საერთო კრებას.

11. საქმიანი შესაძლებლობის მითვისების აკრძალვის წესის დარღვევის შემთხვევაში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას შეუძლია დამრღვევს მოსთხოვოს ამ დარღვევით საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის (მათ შორის, მიუღებელი შემოსავლის) ანაზღაურება. საზოგადოებას შეუძლია დამრღვევს ზიანის ანაზღაურების ნაცვლად მოსთხოვოს საკუთარი ან მესამე პირის სახელით დადებული გარიგებიდან დამრღვევის მიერ მიღებული სარგებლის საზოგადოებისთვის გადაცემა ან ამგვარი სარგებლის მიღების უფლების დათმობა ამ მოთხოვნის უფლების გამოყენება შეუძლია ხელმძღვანელ ორგანოს, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში – თითოეულ პარტნიორს.

12. ვალდებულების რამდენიმე ხელმძღვანელი პირის მოქმედებით ან უმოქმედობით შეუსრულებლობის შემთხვევაში ისიწი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წინაშე პასუხს სოლიდარულად აგებენ.

13. საერთო კრებას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელმძღვანელი პირის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის _მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმის ან მასთან მორიგების თაობაზე, თუ ამ გადაწყვეტილებას არ შეეწინააღმდეგებიან ხმათა, სულ მცირე, 10 პროცენტის მესაკუთრე პარტნიორები, ხელმძღვანელი პირი ასევე თავისუფლდება _ საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან, თუ იგი თავისი ქმედებით საერთო კრების გადაწყვეტილებას ასრულებდა. ხელმძღვანელ პირს, რომლის სამეწარმეო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან გათავისუფლების საკითხიც განიხილება, ეკრძალება ამ საკითხზე კენჭისყრისას ხმის მიცემა.

14. ხელმძღვანელ პირთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულებით არ შეიძლება გამოირიცხოს ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობა მის მიერ ვალდებულების განზრახ შეუსრულებლობით საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანისთვის.

მუხლი 12. პარტნიორის გასვლა

1. პარტნიორს უფლება აქვს გავიდეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან, თუ საზოგადოების ხელმძღვანელობის ან პარტნიორთა ქმედებები მნიშვნელოვნად აზიანებს მის ინტერესებს, ან არსებობს შემდეგი მნიშვნელოვანი საფუძვლები:
ა) საზოგადოების საქმიანობის საგანი მნიშვნელოვნად შეიცვალა;
ბ) საზოგადოებას ბოლო 3 წლის განმავლობაში არ გაუნაწილებია დივიდენდი, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების ფინანსური მდგომარეობა ამის საშუალებას იძლეოდა;

გ) საზოგადოებამ მიიღო „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით, წილების კლასების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ცვლილებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება;
დ) სხვა პარტნიორებმა მიიღეს გადაწყვეტილება დამატებითი შენატანის განხორციელების ვალდებულების შესახებ, რომელიც მასზეც ვრცელდება.

2. თუ ამ მუხლის პირველ პუნქტში დასახელებული გარემოებების წარმოშობის საფუძველია პარტნიორთა გადაწყვეტილება, პარტნიორს გასვლის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოეშობა, თუ მას გადაწყვეტილებისთვის მხარი არ დაუჭერია.

3. პარტნიორმა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას წერილობით უნდა შეატყობინოს საზოგადოებიდან გასვლისა და გასვლის მიზეზების თაობაზე. შეტყობინების მიღებისთანავე საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო პარტნიორებს აცნობებს პარტნიორის გასვლის შესახებ, რის შემდეგაც პარტნიორები იღებენ გადაწყვეტილებას გასვლის მსურველი პარტნიორისათვის გასვლაზე თანხმობის მიცემის, ასევე მისი წილის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის გადაცემის, დანარჩენ პარტნიორებზე პროპორციულად გადანაწილების ან გაუქმების თაობაზე.

4. თუ შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან 30 დღის ვადაში პარტნიორები არ მიიღებენ ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებს ან გადაწყვეტილებით უარს იტყვიან პარტნიორის გასვლაზე თანხმობის გაცემაზე. ხელმძღვანელი ორგანო ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს გასვლის მსურველ პარტნიორს. თუ ხელმძღვანელი ორგანო შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან 30 დღის ვადაში არ აცნობებს გასვლის მსურველ პარტნიორს პარტნიორთა რაიმე გადაწყვეტილების შესახებ, ჩაითვლება, რომ პარტნიორებმა პარტნიორის გასვლაზე თანხმობის გაცემაზე უარი განაცხადეს.

5. გასვლის მსურველი პარტნიორის წილის ღირებულება უნდა დადგინდეს მხარეთა შეთანხმებით, ხოლო ამგვარი შეთანხმების შეუძლებლობის შემთხვევაში – მხარეების მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ. თუ მხარეები ვერ თანხმდებიან აუდიტორის კანდიდატურაზე, დამოუკიდებელ აუდიტორს, ერთ-ერთი მხარის განცხადების საფუძველზე, ნიშნავს სასამართლო.

6. აუდიტორის მომსახურების ანაზღაურება მხარეებს ეკისრებათ თანაბრად და ისინი აუდიტორის წინაშე სოლიდარულად აგებენ პასუხს მომსახურების ღირებულების ანაზღაურებისთვის, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

7. პარტნიორის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან გასვლის შესახებ გადაწყვეტილებას, პარტნიორის განცხადების საფუძველზე, იღებს სასამართლო ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული გარემოებების არსებობის შემთხვევაში. აღნიშნული განცხადების წარდგენა დასაშვებია პარტნიორთა მიერ ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში ან, თუ გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული, 30 დღიანი ვადის უშედეგოდ გასვლიდან 30 დღის განმავლობაში. სასამართლო ასევე განსაზღვრავს გამსვლელი პარტნიორის წილის ღირებულებას და მისთვის წილის ღირებულების ანაზღაურების ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 30 დღეს.

8. გამსვლელ პარტნიორს წილის ღირებულება უნდა აუნაზღაურდეს:

ა) ანაზღაურების ოდენობის შესახებ მხარეთა შეთანხმებიდან 15 დღის განმავლობაში, თუ მხარეები სხვა ვადაზე არ შეთანხმებულან;

ბ) დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ მხარეთათვის წერილობითი დასკვნის წარდგენიდან 30 დღის განმავლობაში;

გ) სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში.

მუხლი 13. პარტნიორის გარიცხვა

1. მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, პარტნიორთა გადაწყვეტილებით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სარჩელის საფუძველზე, სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება პარტნიორის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან გარიცხვის თაობაზე.

2. მნიშვნელოვანი საფუძველი არსებობს, როდესაც პარტნიორის ქმედება მწიშვნელოვან ზიანს აყენებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ინტერესებს ან მისი პარტნიორად დარჩენა საზიანოა საზოგადოების შემდგომი საქმიანობისთვის, თუ პარტნიორი საზოგადოებამ წერილობით უშედეგოდ გააფრთხილა საზოგადოების ინტერესების დამაზიანებელი ქმედების შეწყვეტისა და შესაძლო გარიცხვის შესახებ.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პარტნიორთა გადაწყვეტილება მიიღება კენჭისყრაში მონაწილე ხმათა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ საზოგადოების

წილთა საერთო ოდენობის ნახევრისა, რომელიც იძლევა ამ საკითხზე კენჭისყრაში მონაწილეობის უფლებას. ამ შემთხვევაში პარტნიორს, რომლის წინააღმდეგაც უნდა იქნეს მიღებული გადაწყვეტილება, არ აქვს ხმის უფლება. ისეთ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, რომელსაც ჰყავს ორი პარტნიორი, გადაწყვეტილება მიიღება მეორე პარტნიორის მიერ წერილობითი ფორმით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სარჩელით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას შეუძლია მიმართოს სასამართლოს პარტნიორთა შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 30 დღის ვადაში.

5. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მოთხოვნით, სასამართლოს აქტის საფუძველზე, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, პარტნიორს შეიძლება შეუჩერდეს ხმის ან სხვა არაქონებრივი უფლებები.

6. სასამართლოს მიერ პარტნიორის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა იქნეს წარდგენილი სარეგისტრაციოდ.
7. გარიცხული პარტნიორის წილების სხვა პარტნიორებზე პროპორციულად გადანაწილების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება.

8. გარიცხულ პარტნიორს უნდა აუნაზღაურდეს წილის სამართლიანი ფასი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი **14.** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაშლა **და** რეორგანიზაცია
1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაშლის საფუძვლებია:

ა) საზოგადოების პარტნიორთა გადაწყვეტილება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაშლის შესახებ;
ბ) საზოგადოების პარტნიორთა სავალდებულო რაოდენობასთან დაკავშირებით კანონით დადგენილი მოთხოვნის დარღვევა;
გ) იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
დ) საზოგადოების პარტნიორის განცხადების/სარჩელის საფუძველზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაშლის შესახებ.

2. საზოგადოების დაშლა ხორციელდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

3. მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას, პარტნიორის განცხადების/სარჩელის საფუძველზე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შეიძლება დაიშალოს სასამართლოს გადაწყვეტილებით. მნიშვნელოვანი საფუძველი არსებობს, თუ ერთ-ერთმა პარტნიორმა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით დაარღვია კანონით ან ამ წესდებით მისთვის დაკისრებული არსებითი მოვალეობა, ან თუ პარტნიორი მოვალეობას ვეღარ ასრულებს და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიზანი ვეღარ მიიღწევა.

4. პარტნიორს შეუძლია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაშლის შესახებ განცხადების სასამართლოში შემტანი პარტნიორის წილი სასამართლოს მეშვეობით სამართლიან ფასად გამოისყიდოს განცხადების შეტანიდან 30 დღის განმავლობაში. ამ შემთხვევაში ყოველ პარტნიორს უნდა მიეცეს თავისი წილის პროპორციულად გამოსყიდვაში მონაწილეობის შესაძლებლობა, თუ დანარჩენი პარტნიორები წილების გადანაწილების სხვა წესზე არ შეთანხმდებიან.

5. დასაშვებია, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების რეორგანიზაცია განსორციელდეს შემდეგი ფორმებით:
ა) საზოგადოების გარდაქმნა;

ბ) სხვა სამეწარმეო საზოგადოებასთან შერწყმა (მიერთება ან გაერთიანება);
გ) საზოგადოების გაყოფა (დაყოფა ან გამოყოფა).

6. საზოგადოების რეორგანიზაცია ხორციელდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

7. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაშლისა და რეორგანიზაციის პროცესში უნდა იქნეს გათვალისწინებული „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პარტნიორთა უფლებები და მოვალეობები.

8. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესს ერთობლივად ხელმძღვანელობენ ხელმძღვანელი პირები, რომლებიც ინიშნებიან ლიკვიდატორებად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საერთო კრების გადაწყვეტილება ლიკვიდატორებად სხვა პირების დანიშვნას ითვალისწინებს.

9. ლიკვიდატორებმა მარეგისტრირებელი ორგანოს ერთიანი ელექტრონული პორტალის სუბიექტის ავტორიზებულ გვერდზე (ელექტრონულ მისამართზე) ან თავიანთ ვებგვერდზე განცხადების გამოქვეყნებით დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ კრედიტორებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაშლის შესახებ და უნდა მოიწვიონ ისინი მოთხოვნების განსაცხადებლად.

10. ლიკვიდატორი უნდა აკმაყოფილებდეს სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი პირისთვის წაყენებულ მოთხოვნებს.

11. საერთო კრება უფლებამოსილია ნებისმიერ მომენტში გაათავისუფლოს ლიკვიდატორი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ლიკვიდატორი სასამართლოს მიერ არის დანიშნული.

12. ხელმძღვანელი პირი ვალდებულია მარეგისტრირებელ ორგანოს მიმართოს განცხადებით ლიკვიდატორების მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მიზნით. მარეგისტრირებელი ორგანოსთვის ამ განცხადებით მიმართვის უფლება აქვს პარტნიორს. აღნიშნულ განცხადებას უნდა ერთოდეს კანონმდებლობის შესაბამისად დამოწმებული დოკუმენტი ლიკვიდატორის დანიშვნის ან გათავისუფლების და მისი უფლებამოსილების შესახებ, ლიკვიდატორის ხელმოწერის ნიმუში, ხოლო თუ ლიკვიდატორი ხელმძღვანელი პირი არ არის − აგრეთვე ლიკვიდატორის თანხმობა. ლიკვიდატორის ან მისი უფლებამოსილების ყოველი ცვლილებისას მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში ცვლილების რეგისტრაციის მიზნით განცხადებას წარადგენენ ლიკვიდატორები.

13. ლიკვიდაციასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელებისას ლიკვიდატორები სარგებლობენ იმავე უფლებებით და ეკისრებათ იგივე მოვალეობები, რომლებიც აქვთ ხელმძღვანელ პირებს, გარდა კონკურენციის აკრძალვისა. ლიკვიდატორებზე ვრცელდება განსაკუთრებულ ვითარებაში ზრუნვის მოვალეობა. ლიკვიდატორები ვალდებული არიან დაასრულონ მიმდინარე საქმეები, მოახდინონ აქტივების რეალიზაცია და შეასრულონ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ვალდებულებები. ლიკვიდატორებს უფლება აქვთ, დადონ ახალი გარიგებები, თუ ეს ლიკვიდაციისთვის აუცილებელია.

14. ლიკვიდაციის პროცესში მყოფი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ქონება ნაწილდება პარტნიორთა შორის, მათ წილებთან დაკავშირებული უფლებების შესაბამისად.

15. თუ შენატანები სრულად არ იყო განხორციელებული, თავდაპირველად ბრუნდება შენატანები ან მათი ღირებულება, ხოლო ნარჩენი ქონება წაწილდება პარტნიორთა წილებთან დაკავშირებული უფლებების შესაბამისად.

16. თუ ქონება შენატანების დასაბრუნებლად საკმარისი არ არის, ნარჩენი ქონება ნაწილდება წილებთან დაკავშირებული უფლებების შესაბამისად, ხოლო თუკი შენატანები სრულად არ იყო განხორციელებული – განხორციელებული შენატანების პროპორციულად.

17. ქონება შეიძლება განაწილდეს მხოლოდ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ვალდებულებების დაფარვიდან და საზოგადოების დაშლის შესახებ

განცხადების გამოქვეყნებიდან 5 თვის შემდეგ. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ქონება შეიძლება განაწილდეს საზოგადოების დაშლის შესახებ განცხადების გამოქვეყნებიდან 3 თვის შემდეგ, თუ არსებობს დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, რომ ყველა ვალდებულება შესრულებულია და, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ქონების განაწილება საფრთხეს არ უქმნის მესამე პირთა უფლებებს.

18. თუ ცნობილი კრედიტორები არ განაცხადებენ თავიანთი მოთხოვნების შესახებ, ქონება შეიძლება განაწილდეს მხოლოდ მათი მოთხოვნების შესაბამისი ღირებულების სასამართლოს ან ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსების შემდეგ.

19. თუ ვალდებულება _ სადავოა ან მისი შესრულების ვადა არ დამდგარა, ქონება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში განაწილდეს, თუკი კრედიტორს წარედგინება ვალდებულების ტოლფასი უზრუნველყოფა.

20. პარტნიორთა გადაწყვეტილების საფუძველზე დაშლილმა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ შეიძლება გააგრძელოს არსებობა, თუ ამას გადაწყვეტს საერთო კრება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების 3/4-ის უმრავლესობით და საზოგადოების ქონების პარტნიორთა შორის განაწილება არ დაწყებულა.

21. დაშლილი  საზოგადოების მიერ არსებობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას მარეგისტრირებელ ორგანოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომეციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციისთვის ლიკვიდატორები წარუდგენენ. მათვე ეკისრებათ იმის დადასტურების ვალდებულება, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ქონების პარტნიორთა შორის განაწილება დაწყებული არ არის.

22. დაშლილი საზოგადოების მიერ არსებობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შედის მხოლოდ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომეციული) იურიდიული პირების რეესტრში მისი რეგისტრაციის შემდეგ.

23. საზოგადოების ქონების სრულად განაწილება იწვევს საწარმოს ლიკვიდაციის დასრულებას. საწარმოს ლიკვიდაციის პროცესი უნდა დასრულდეს საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 4 თვისა, ხოლო საგადასახადო შემოწმების ჩატარების ვადის გაგრძელების შემთხვევაში საგადასახადო შემოწმების დასრულების შესახებ ინფორმაციის მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ მიღებიდან არაუგვიანეს 1 თვისა.

24. ლიკვიდატორებმა მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა მიმართონ ლიკვიდაციის რეგისტრაციის მოთხოვნით, რომლის საფუძველზედაც მარეგისტრირებელი ორგანო გააუქმებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების რეგისტრაციას.

## მუხლი 15. ბუღალტრული აღრიცხვა, ანგარიშგება და აუდიტი

1. საზოგადოების ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს, ანგარიშგების მომზადება და წარდგენა ხდება და აუდიტი ხორციელდება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. აუდიტის განხორციელებაში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორებისა და მმართველობითი ორგანოს წევრების მონაწილეობამ საფრთხე არ უნდა შეუქმნას აუდიტორის დამოუკიდებლობასა და ობიექტურობას.

3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ხელმძღვანელი პირები ერთობლივად არიან პასუხისმგებელი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისთვის.

## მუხლი 16. დასკვნითი დებულებები

1. ამ წესდების რომელიმე დებულების ბათილად ცნობა გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.